# ინვესტიციების არატრადიციული გაგების შესახებ

*რევაზ შენგელია*
*ეკონომიკის დოქტორი,*
*სტუ-ს პროფესორი*
*ჟურნალ „ეკონომიკის"*
*მთავარი რედაქტორი*

ეკონომიკის საბაზრო სისტემის, განსაკუთრებით ტრანსფორმირებადი, გარდამავალი, მათ შორის პოსტსაბჭოური ეკონომიკის ქვეყნების მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნის განვითარების სასურველი პარამეტრების უზრუნველყოფის, არსებული ეროვნული, სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საქმეში ინვესტიციებს არსებითი როლის შესრულება შეუძლია. სწორედ ამ საკითხების კვლევის აუცილებლობამ და აქტუალურობამ განაპირობა წინამდებარე სტატიის დამუშავება, მისი ახლებურად, არატრადიციულად - სოციალურ ასპექტში, წარმოების სოციალური მიზნის პოზიციებიდან განხილვა.

ინვესტიციები ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული კატეგორიაა, როგორც მაკრო, ისე მიკრო და მეზო დონეზე. მიუხედავად ამ ეკონომიკური კატეგორიისადმი სწავლულ ეკონომისტთა განსაკუთრებული ყურადღებისა, ჯერ კიდევ არ არსებობს ინვესტიციის იმგვარი უნივერსალური განმარტება, რომელიც თეორიული და პრაქტიკული მოთხოვნილებების შესატყვისი იქნებოდა. ჩვენი აზრით, შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი მისი სოციალური, განსაკუთრებით გენეტიკური მხარე[1].

ინვესტიციის არსის შესახებ ეკონომიკური აზრის ვრცელი მიმოხილვა ჩვენი სტატიის კვლევის ფარგლებს სცილდება; ამიტომ მხოლოდ მისი მოკლე დახასიათებით შემოვიფარგლეთ. მთავარია ცნობილი თეორიებიდან არ დაიკარგოს მათში მოცემული ფასეული და რაციონალური მიდგომები. ერთი კი, ცხადია, რომ ამ მიდგომებს, დებულებებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა, თუნდაც მათი მართვის მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოსაყალიბებლად. ფაქტია, რომ ინვესტიციებს სახელმწიფოსგან მეტი ყურადღება სჭირდება, განსაკუთრებით უცხოური და საკუთარი ინვესტიციების ოპტიმალური თანაფარდობის დადგენის, რეგულირების დროს.

ინვესტიციებს დღესაც მეცნიერები სხვადასხვა ასპექტში განმარტავენ, სტატიკაში, დინამიკაში, მიკრო და მაკრო დონეზე, შემოსავლიანობის დონის, დანახარჯების და რესურსების მიხედვით და ა.შ. არსებული განმარტებებიდან ძირითადი დასკვნები ის არის, რომ ინვესტიცია ეს არის: ჯერ ერთი, კაპიტალის მოძრაობის სოციალურ-ეკონომიკური პროცესი სხვადასხვა ფორმით (ფულადი და არაფულადი; რეალური; პირდაპირი და ირიბი და სხვა); მეორე, წარმოების მიღწეული დონის შენარჩუნების, ზრდისა და გაფართოების წყარო; მესამე, კაპიტალის აწმყოში დახარჯვა იმ პირობით, რომ მომავალში შენარჩუნდეს ან ახალი, უფრო მეტი კაპიტალი შეიქმნას; მეოთხე, საინვესტიციო საქმიანობის ორი მხარის შეხამება - რესურსების ხარჯვა და შედეგის მიღება.

ზემოაღნიშნული მსჯელობის განზოგადებით შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიციას ტრადიციული გაგებით უფრო ხშირად განსაზღვრავენ როგორც პროცესს, რომლის დროსაც რესურსები თანმიმდევრულად გარდაიქმნება დანახარჯებად ინვესტორის მიზნის-შემოსავლის (ეფექტის) მიღების განსახორციელებლად. ძირითადად, ინვესტიციას უკავშირებენ მხოლოდ კაპიტალის ზრდის, ან მიმდინარე შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნებს. ე.ი.ინვესტიციების ტრადიციული გაგების, განსაზღვრის შემთხვევაში მთავარი აქცენტი გამახვილებულია ტექნიკურ-ეკონომიკურ ანალიზზე, მხარეზე, როცა ინვესტირებისას გადამწყვეტია მხოლოდ მოგება. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში მართალია, მოგება პირველ რიგში განმსაზღვრელი მიზანია, მაგრამ ინვესტიციებს შეიძლება ჰქონდეთ კაპიტალის დაბანდების სხვა ეკონომიკური

[1] ამის შესახებ ძირთითადი დებულებები იხ: ჟურნალ „ეკონომიკის" 2009 წ№.3-4. №10-12;2011წ.№1-6, №,9-10,2012 წ.№1-2 ; ჟურნ."ბიზნესი და კანონმდებლობა", 2010 წ. დეკემბერი, გვ. 36-40.

და არაეკონომიკური მიზნებიც.[2]

ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობათა განვითარებამ, ნებისმიერი მოვლენის, პროცესის ან ანალიზის სოციალური ასპექტების წინ წამოწევამ ინვესტიციების "გადასინჯვის" აუცილებლობა განაპირობა სოციალურად ორიენტირებული ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი პირობების შესაბამისად. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია, ზოგიერთი მეცნიერის მიერ წინგადადგმული ნაბიჯები. მხედველობაში გვაქვს მოსაზრებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ინვესტიციების არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სხვა სასარგებლო ეფექტზე. მაგალითად, კაპიტალურ დაბანდებათა ფორმით განხორციელებულ საინვესტიციო საქმიანობის შემთხვევაში მიმართავენ ინვესტიციების შემდეგ განმარტებას: ინვესტიციები ეს არის„... ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, სხვა ქონება, მათ შორის ქონებრივი უფლებები, ფულადი შეფასების მქონე სხვა უფლებები, რომლებსაც სამეწარმეო და (ან) სხვაგვარ საქმიანობაში აბანდებენ მოგების მიღებისა და (ან) სხვა სასარგებლო ეფექტის მიღწევის მიზნით.[3]

ჩვენი აზრით, ამ განსაზღვრაში ინვესტიცია ფართო ასპექტშია განხილული, კაპიტალური დაბანდება განსაზღვრულია როგორც ინვესტიციის ერთ-ერთი ფორმა და, რაც მთავარია, ყურადღება გამახვილებულია საინვესტიციო საქმიანობის არაპირდაპირ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მომავალში სხვა სასარგებლო ეკონომიკურ ეფექტზე.[4]

საყურადღებოა ამ კუთხით ინვესტიციების განხილვა შემოსავლიანობის დონის მიხედვითაც, განსაკუთრებით კი „უშემოსავლო ინვესტიციების" შესახებ მსჯელობა, ე.ი. ისეთი ინვესტიციების ობიექტების ჯგუფის შესახებ, რომელთა შერჩევასა და განხორციელებას ინვესტორი არ უკავშირებს ინვესტიციური მოგების მიღებას.[5]

ვიზიარებთ რა ამ მოსაზრებას, აღვნიშნავთ რომ მოცემულ შემთხვევაში უკეთესია ვიხმაროთ არა ტერმინი „უშემოსავლო ინვესტიციები", არამედ (არაკომერციული) სოციალური ხასიათის ინვესტიციები. ნებისმიერ ინვესტიციებს საბოლოოდ მაინც მოაქვს რაღაც შედეგი, შემოსავალი, თუნდაც თვით ინვესტორისათვის. მაგალითად, სოციალურ პროექტებში ჩართვით ინვესტორი, ხარჯავს რა სახსრებს სოციალურ და ფილანტროპიულ პროგრამებზე, ამცირებს რა მიმდინარე შემოსავალს, უარს ამბობს მოცემულ მომენტში მოგების რაღაც გარკვეულ ნაწილზე, გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც ქმნის კეთილსაიმედო სოციალურ გარემოცვას, თავადაც თვითონ იქმნის მყარ რეპუტაციას და იმიჯს, დამაჯერებელ რეალურ რეკლამას და იღებს კიდევაც „დივიდენდებს" ამ საქმიანობიდან. ყოველივე ამით ხელს უწყობს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ წარსულს, სამეწარმეო ტრადიციებს და საკითხს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ, რომ, მაგალითად, ქართული ინვესტიციაც, უცხოური ინვესტიციების მსგავსად, თუ უნდა, რომ ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის ნაწილი გახდეს და თუ გახდება, მაშინ აუცილებლად დაიმკვიდრებს თავის არსენალში სოციალურ, კორპორაციულ პასუხისმგებლობას, უწინარეს ყოვლისა უცხოური ინვესტიციის (ინვესტორების) და რეციპიენტი ქვეყნის (ხელისუფლების) დახმარებით. აი სწორედ მაშინ სრულფასოვნად შეგვეძლება მსჯელობა ინვესტიციის სოციალურ, კორპორაციულ ხასიათზე და პასუხისმგებლობაზე.

ინვესტიციების სოციალურ-ეკონომიკური არსის და მნიშვნელობის გარკვევისას, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პრობლემის განხილვისას, უნდა ამოვიდეთ იმ მეთოდოლოგიური მიდგომიდან, რომლის თანახმადაც „... ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების მშენებლობისა და ფუნქციონირების საქმეში ყველა გზა, ფორმა და მეთოდი გამართლებულია, თუ ის ემსახურება ადამიანის და საზოგადოების ინტერესებს და გამორიცხავს ანტისოციალურ მოვლენებს,"[6] მაგალითად, მხოლოდ მოგებაზე, სხვის უბედურებაზე, მეორე მხარის ზარალზე ორიენტირებულ საქმიანობას.[7] ყოველივე ეს ჰუმანური საზოგადოების მშენებლობის აუცილებელი მოთხოვნაა. ამიტომ ინვესტიციაც, ინვესტორის ინტერესები, მოთხოვნილებები ადამიანურ საწყისს უნდა ემყარებოდეს. ინვესტორის მოთხოვნილებები და ინტერესები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სხვისა და მთელი საზოგა-

[2] ლ. ქოქიური. საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა: ორ ტომად. - ტ. 1. თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008, გვ. 96-97.

[3] იქვე გვ. 109.

[4] იქვე.

[5] იქვე გვ. 150.

[6] Кураташвили А. Философско-политэкономическое миниатюры. Материялы республиканской Научной конференции: «Актуальные проблемы теории» (15-16 мая 1980 г) Тбилиси: «Мецниереба», 1980, ст. 93.

[7] ალ. სხირტლაძე. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ფარმაცევტული ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების გზები. თბ. 2010. გვ. 13.

დოებისას, არ იწვევდეს სხვის დაზარალებას.

ისევე, როგორც „ნებისმიერი ეკონომიკური და სოციალურ მოვლენათა ღრმა წვდომა ვერ მიიღწევა მხოლოდ მიმდინარე თვალსაზრისით, წარმოშობის, გენეზისის, ისტორიის გაუთვალისწინებლად",[8] ანუ გენეტიკური მიდგომის გარეშე, ასევე ინვესტიციის სოციალურ–ეკონომიკური არსის შესახებ ჩვენი ცოდნა, ინვესტიციის არატრადიციული გაგება იქნება ძუნწი და არასრული, თუკი ვერ იქნება სწორად გააზრებული წარსულთან მათი კავშირი, წარმომავლობა. ამ ჭრილში, მეტად საინტერესოდ, სრულიად ახლებურად, ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების მრავალმხრივ მოვლენებთან ღრმა ურთიერთკავშირში საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული ქართველი მეცნიერის, პროფესორ გიორგი მალაშხიას მიერ შემუშავებულ მოგების მეტათეორიის კონცეფციაში,[9] რომლის მიხედვით ინვესტიციების წყაროა წმინდა პროდუქტის (წარმოების ხარჯებს ზევით მიღებული) ან წინათ ანაზღაურებული, უკვე გამოსყიდული საზოგადოების დანახარჯების ნაწილი. ე.ი. ინვესტიციები გენეტიკური, წარმომავალობის თვალსაწიერით ატარებს ნაჩუქარ ხასიათს. იგი, როგორც ჩანს, ნაწილობრივ შეიძლება იყოს ბუნების ნაჩუქარი ძალების, თაობების, ნიჭიერ ადამიანთა მიერ დაგროვილი ცოდნის შედეგიც. ინვესტიციაც თვითონ ასევე გამოისყიდება გარკვეული პერიოდის, წლების შემდეგ და მომავალში „მუშაობს" უფასოდ, ბუნების ნაჩუქარი ძალების სახით. ინვესტიციების ასეთი წყარო, სოციალური ენერგია უფრო გროვდება, ვიდრე იკარგება, განსხვავებით სითბური ენერგიისგან[10]. ეს იმით აიხსნება, რომ ინვესტიციების ასეთი წყარო უმთავრესად ადამიანთა ინტელექტუალური, არამატერიალური რესურსებია - ცოდნა, გამოცდილება, გამოგონებები, აღმოჩენები და ა.შ., რომლებიც ადამიანებს ემსახურება ათეულობით წლებისა და საუკუნეების განმავლობაში, ინარჩუნებს თავიანთ პოტენციალს (იკარგება მხოლოდ მოძველებული ინტელექტუალური ობიექტები)[11]. ინტელექტუალური რესურსები, კაპიტალი არა მარტო ძველდება ფიზიკურად და მორალურად, არამედ მას აქვს დაგროვების და გამრავლების უნარი. ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვება, ზრდა ხორციელდება მუშაკის საწარმოო გამოცდილების დაგროვების პროცესში. თუ ეს პროცესი მიმდინარეობს განუწყვეტლივ, მაშინ ინტელექტუალური კაპიტალის, ცოდნის გამოყენების შესაბამისად უმჯობესდება და იზრდება მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი (ხარისხი, მოცულობა, ფასეულობა) მახასიათებლები.

შესაძლოა ინტელექტუალური კაპიტალის განვითარებაზე ჩადებული ინვესტიციები, მაგალითად, მუშაკის, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სწავლაზე და ა.შ., ფინანსური აღრიცხვის წესების მიხედვით დანახარჯებს განეკუთვნება, მაგრამ ასეთი სახის ინვესტიციები იძლევა როგორც სიდიდის, ისე დროის ხანგრძლივობის მიხედვით ძალიან მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტს. რაც უფრო ადრე ჩაიდება ინვესტიცია მუშაკის, ადამიანის განვითარებისთვის, მით უფრო სწრაფად დაიწყება უკუგების მიღება. მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ უფრო ხარისხობრივ და ხანგრძლივ ინვესტიციებს მოაქვს მაღალი და ხანგრძლივი ეფექტი. ყოველივე ეს დასტურდება იმით, რომ მომგებიანი საინვესტიციო პერიოდი ინტელექტუალურ კაპიტალში, მაგალითად განათლებაში უფრო ხანგრძლივია ვიდრე ფიზიკურ კაპიტალში. სწორედ ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ დღეს ბიზნესში, როგორც ამას პრაქტიკა ამტკიცებს, ტექნოლოგიის და კაპიტალის მზარდი მობილურობის გათვალისწინებით კონკურენტუნარიანობა სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდად არის დამოკიდებული ადამიანისეული რესურსების მოქნილობაზე. ასე, რომ განვითარებული ქვეყნების პოსტინდუსტრიულ ეპოქაში გადასვლასთან ერთად ინტელექტუალური კაპიტალი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს და მეტი სოციალური შინაარსით იტვირთება; თუმცა თავდაპირველად წარმოგვიდგება წმინდა დანახარჯებად. როგორც პროფესორი გ. მალაშხია აღნიშნავს, „დანახარჯები ადამიანზე ... განსაკუთრებული დაბანდებაა, ... გამორჩეულად მაღალეფექტიანია, ინვესტიციები ადამიანზე იძლევა ორმაგ შედეგს – უშუალოდ ემსახურება ადამიანის ცხოვრების, არსებობის ფორმის სრულყოფას, ე.ი. სოციალური შედეგის მიღებას და ამასთან ერთად ამდიდრებს ადამიანის შემოქმედებით–საწარმოო პოტენციალს, რითაც წარმოების შედეგების (ე.ი. ეკონომიკური შედეგების) ზრდასაც უზრუნველყოფს ". ადამიანებზე დანახარჯების შედეგები შეიძლება ორმაგზეც

[8] გ. მალაშხია. მეტაეკონომიკა. ეკონომიკის ფილოსოფია. თბ., 1995. გვ. 30.

[9] Г. Малашхия. Метатеория прибыли (что в самом деле есть и прибыль?) Тб., 2007, ст. 32.

[10] ადრე მიღწეული დონე, გარდა იშვიათი შემთხვევებისა, მაინც უკვალოდ არ ქრება (იხ. გ. მალაშხია. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შენახვის კანონი-საწარმოთა კრიზისიდან გამოსვლისა და აღმავლობის პირობა. ჟურ. „ეკონომიკა". №10-12, 1998. გვ. 42.).

[11] იქვე გვ. 27.

მეტი იყოს. მაგალითად, იმით, რომ იგი მულტიცირდება, ახალ დამატებით შედეგებს იძლევა, კერძოდ, მეცნიერების, განათლების მიღწევების გავრცელებით და სხვა".[12]

ამრიგად, თუ ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, ტრადიციული გაგებით ინვესტიციები ინვესტორების ხარჯებს მიეკუთვნება, არატრადიციული გაგებით - გენეტიკური თვალსაზრისით ინვესტიციები ატარებს ნაბოძვარ ხასიათსაც. ინვესტიცია, კაპიტალი, მეწარმეობის უნარი თავისთავად, როგორც წარმოების ცალკეული ფაქტორი, კი არ ქმნის რაიმე მატერიალურ დოვლათს, არამედ მას წვლილი შეაქვს ამ პროცესში. „საზოგადოებაში იქმნება დანახარჯზე მეტი დოვლათი მუქთი რესურსების ...უდანახარჯო რესურსების გამოყენების შედეგად."[13] ასეთი მუქთი რესურსების ძირითად მიმთვისებლად არსებულ გარემოში ხდებიან კაპიტალის მფლობელები, ე.ი. ინვესტორებიც. როგორც პროფ. გ. მალაშხია აღნიშნავს, ეს ხდება„ ... არა ძალადობის გზით, არამედ მათი ნებისგან დამოუკიდებელი განაწილების ობიექტური კანონის ძალით. ეს გარემო ისტორიამ შექმნა და დააკანონა განვითარების ამ დონეზე, თვით ისტორია გამოდის ამ შემთხვევაში .... უსამართლო".[14] ამიტომ მთავარია ის, თუ მდიდარი ადამიანები, მეწარმეები და სხვა დიდი კაპიტალის მფლობელი ინვესტორები რა მიზნით გამოიყენებენ მუქთ, ბუნების ნაბოძვარ რესურსებს, ე.ი. ინვეტიცია შედეგის თვალსაწიერით. და თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ინვესტორმა, რომლის ინვესტიცია მომავალში, გარკვეული პერიოდის ხარჯების ანაზღაურების შემდეგ ისევ მოგვევლინება ბუნებისა და წინამორბედი თაობებისაგან ნაჩუქარ ძალად, მიღებული შედეგის ნაწილი უნდა გაიღოს საზოგადოების, უმწეო ადამიანების სასარგებლოდ, თუნდაც, მაგალითად, საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მრავალრიცხოვანი პენსიონერების გადასარჩენად.

სწორედ ეს არის ინვესტიციის, სოციალური ინვესტიციის მთავარი არსი. ინვესტიციის ნაწილის ასეთი სოციალური მიმართულებით წარმართვა ნებით თუ არა ერთ დროს იძულებით მაინც ნებისმიერ ინვესტორს, ბიზნესმენს მოუწევს. სანამ ქვეყანაში არ შეიქმნება საშუალო ფენა მოსახლეობისა, ბედნიერი ვერ გახდება ვერც ერთი ინვესტორი, ბიზნესმენი თუ შეძლებული ადამიანი. სამეწარმეო საქმიანობის, ბიზნესის, ინვესტიციური საქმიანობისას სოციალური ფუნქციის როლის გაზრდა გარკვეულწილად განაპირობა სოციალური პოლიტიკის შესახებ ტრადიციულ შეხედულებათა გადასინჯვამ. ადრეულ წლებში ბიზნესი სოციალურ პრობლემათა გადაჭრის მხოლოდ ფინანსურ ნაწილში მონაწილეობდა, გამოიხატებოდა გადასახადების გადახდით და საქველმოქმედო საქმიანობით. ახალ ათასწლეულში, ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში, შემუშავებულია მოსახლეობის სოციალური დაცვის მაღალი სტანდარტები. ასეთ ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალურ დანახარჯზე გადანაწილდება მეპ–ის 1/3–დან ნაწილი. თანამედროვე პირობებში მსხვილმა ბიზნესმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფოსთან სოციალური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში. მრავალი უცხოელი მეცნიერი თვლის, რომ თუ მსხვილმა ბიზნესმა თავის თავზე არ აიღო სოციალურ პრობლემათა გადაჭრის პასუხისმგებლობა, თავადვე გახდება მათი მსხვერპლი.

ამრიგად, თუ ინვესტიციას სოციალური მხარე მოსცილდა, იგი არ გახდება განვითარების წყარო, ანუ თუ განხორციელდება არაცივილიზებული მიმართულებით, ინვესტორთა უსაზღვრო ეგოიზმიდან მთლიანად საზოგადოების დანაკარგები უფრო მეტი იქნება, ვიდრე ცალკეული ინვესტორის სარგებელი და, პირიქით, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის გზაზე, სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა გრძელვადიანი პერიოდისათვის იძლევა მეტ სარგებელს, როგორც ცალკეული ფირმისათვის, ინვესტორისათვის, ისე მთელი ეკონომიკისათვის. ინვესტორი ვალდებულია ფიქრობდეს არა მარტო თავის, არამედ სხვა პირების სარგებლობაზეც, რომლებიც მონაწილეობენ საერთო საქმეში, მითუმეტეს, თუ, როგორც ზემოთ ითქვა, ინვესტიციების უპირველესი წყარო, თაობების მიერ დაგროვილი ცოდნა, (რომელთაგან ზოგიერთი მარადიულიცაა), განვითარების ადრე მიღწეული დონეა. იგი, გარდა იშვიათი შემთხვევისა, მაინც უკვალოდ არ ქრება და წარმოადგენს განვითარების არსებული დონიდან უფრო მაღალ დონეზე გადასვლის პირობას.[15] ასე რომ, ინვესტორი უნდა ზრუნავდეს, როგორც საერთო მოგებიდან საქმის თავისი წილის მიღებაზე, ასევე იმ წილზეც, რომელსაც მიიღებენ საქმის თანამონაწილენი,

[12] იქვე, გვ. 55; 57-58.

[13] იხ. გ.მალაშხია. მეტაეკონომიკა, ეკონომიკის ფილოსოფია. თბ. 1995. თავი III, გვ. 167.

[14] იხ. გ.მალაშხია. ბაზარი და სამართლიანობა ახალი კონცეფტი. ჟ. „სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები." N5 , 2011 წ., გვ. 14.

[15] გ. მალაშხია. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შენახვის კანონი - საწარმოთა კრიზისიდან გამოსვლისა და აღმავლობის პირობა. ჟურნალი „ეკონომიკა", №10-12, 1998, გვ. 42.

კონტრაგენტები (პარტნიორები) და თუნდაც სოციალურად დაუცველი ადამიანები შემწეობების და სხვა სახით.

როცა ვმსჯელობთ ინვესტიციის, ინვესტორის, ისე საქმეში მონაწილე სხვა პირების სარგებლობაზე, და რაც მთავარია, ინვესტიციის განხორციელების შედეგად მიღებულ სოციალურ ეფექტიანობაზე, ამ შემთხვევაში წამყვან როლს ასრულებს სოციალური მხარე, მოტივი, ხოლო წმინდა ეკონომიკური მომენტი მასზე დაქვემდებარებულია.[16] ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტორის, მეწარმის და ბიზნესმენისათვის სულ ერთი არ უნდა იყოს, თუ მათი საქმიანობის განხორციელების შედეგად როგორი შრომის პირობები იქნება მოცემულ საწარმოში და მის გარეთაც, როგორი ეკოლოგიური მდგომარეობა იქნება მოცემულ კონკრეტულ ადგილზე და მის გარეთ, საერთოდ რეგიონში. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ადრე ავღნიშნავდით: „სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მოსალოდნელია... ეკოლოგიურად არანორმალურ პირობებში მყოფი... საწარმოები დაიხუროს იმის გამო, რომ ამ საწარმოთა შიგნით არასახარბიელო შრომის პირობებია... სახელმწიფომ... უნდა დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა კერძო ბიზნესისგან, უცხოეთის ინვესტიციების მისწრაფებისაგან, შემოზიდოს ქვეყანაში ისეთი ტექნიკა და ტექნოლოგია, პროდუქცია, რომელიც სხვა ქვეყნებში აკრძალულია და მორალურად მსოფლიო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.[17]

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინვესტიციის საშუალებით ბიზნესის განვითარება მხოლოდ მომგებიანი საქმიანობისათვის ხელსაყრელ საბაზრო და სოციალურ გარემოშია შესაძლებელი. ამგვარი გარემოს შექმნა კი სახელმწიფოს პრეროგატივაა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ინვესტორებს, რათა მათ მიიღონ მოგება და შემდგომ აქტიურად იზრუნონ საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ კეთილდღეობაზე.

როგორც ნებისმიერი მოვლენა, ასევე ინვესტიციაც უნდა განვიხილოთ შედეგის თვალთახედვით და არა მარტო როგორც პროცესი. მაგ., როცა ესა თუ ის სახელმწიფოს მთავრობა მსჯელობს გადასახადების შემცირებაზე, საგადასახადო შეღავათზე და ა.შ., საქმე ეხება პროცესს. მაგრამ სინამდვილეში უფრო მნიშვნელოვანია რა შედეგი მოაქვს ამ პროცესს. კერძოდ, რა გავლენა მოახდინა მან მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე, შემოსავლების გადიდებაზე და სხვ. მსგავსად ამისა, ინვესტიციის სოციალურ-ეკონომიკური არსის გარკვევისას, ჩვენი აზრით, მთავარია არა თავისთავად ინვესტირება როგორც პროცესი, არამედ მისი მიზანი, შედეგი. და თუ ინვესტიცია გავლენას ვერ ახდენს, მაგალითად, მოსახლეების ცხოვრების დონის ამაღლებაზე და სხვა, ასეთი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე (შესაძლოა გადასახადები მისი ზოგიერთი ნაწილის შემცირებისას მთლიანობაში იზრდებოდეს კიდეც), მაშინ ის ვერ ჩაითვლება დადებით მოვლენად. მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბე და გაჭირვება იმის მაჩვენებლია, რომ არც უცხოური და არც ადგილობრივი ინვესტიციები არ წარიმართება ექსპორტზე ორიენტირებული დარგების (უცხოური ვალუტის გამომუშავების წყარო) განსავითარებლად და ქვეყნის საწარმოო პოტენციალის გასაზრდელად.[18] ინვესტიცია ასეთ პირობებში ვერ გახდება განვითარების წყარო.

ინვესტიციების არატრადიციული გაგებისას, განსაკუთრებით სოციალურ ასპექტში, მომავლის, შედეგის თვალსაზრისით განხილვისას უფრო გამართლებულია, ვიმსჯელოთ ინვესტიციებზე არა როგორც ხარჯებზე (თუმცა ინვესტიციებს შესაბამისი ხარჯებიც მოსდევს), არამედ როგორც მიზანმიმართულ, ავანსირებულ კაპიტალზე, რომელიც იმით განსხვავდება ხარჯებისგან, რომ რესურსები, სახსრები ძირითადად იდება, წარმიმართება ავანსირებული ღირებულების ისევ დასაბრუნებლად, თანაც განვითარების, ზრდის პირობით.

როგორც ჩანს, ინვესტიცია და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა საკმაოდ რთულია და არ შეიძლება განხილულ იქნას იზოლირებულად, ვიწროდ. სწორი, სასურველი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად, პოლიტიკის შესამუშავებლად საჭირო ფაქტორები ხასიათდება რთული მემკვიდრეობითი კავშირურთიერთობებით წარსულსა და დღევანდელობას, დღევანდელობასა და მომავალს შორის.

[16] ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ა. ბუსიგინის მოსაზრება: „ფული, კაპიტალი, მოგება, ბუნებრივია, ყოველთვის თან სდევს სამეწარმეო წამოწყებას, მაგრამ არ შეიძლება წარმოადგენდეს სამეწარმეო საქმიანობის თვითმიზანს (Бусыгин А. Предпринимательство. М. , Дело, 1999, с. 322).

[17] რ.შენგელია. პრივატიზაია და ძირითადი კაპიტალის განახლების სოციალურ–ეკონომიკური ასპექტები. ჟურნალი „ეკონომიკა", № 10-12, 1998. , გვ. 72.

[18] მაგალითად, როცა მსჯელობაა იმაზე, რომ „საქართველო ნომერ პირველი რეფორმატორი ქვეყანაა", ეს მარტო ლაპარაკის დონეზე არ უნდა იყოს. თითოეული მოქალაქე უნდა გრძნობდეს მას. მოლა ნასრედინს აქვს ნათქვამი: რამდენიც არ უნდა იძახო ჰალვა, ჰალვა, პირში არ დაგიტკბებაო. ის ჰალვა რეალურად თუ არ გაქვს, რამდენიც გინდა იძახეო". (გაზ. „ახალი თაობა", 25.11.2010. , გვ. 10. ).

ამიტომ აუცილებელია რაც შეიძლება ზუსტი წარმოდგენა შეიქმნას არსებულ საინვესტიციო მდგომარეობაზე, სათანადო ინფორმაციული ბაზისა და მისი დამუშავების სისტემის მეშვეობით. მიღებული შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბდეს სათანადო ინოვაციური და ინვესტიციური პოლიტიკა, მართვის სტრატეგია, მათი სტიმულირების ფორმები,[19] რასაკვირველია, სოციალური შედეგების გათვალისწინებით.

ამრიგად, თუ ინვესტიციებს განვიხილავთ არატრადიციულად, რომლის

დროსაც მთავარი აქცენტი გადატანილია სოციალურ ასპექტზე, რაც აახლოებს მას ობიექტურ რეალობასთან, შეიძლება მივიდეთ შემდეგ დასკვნებამდე:

1. ინვესტიცია, წარმოშობის მიხედვით ნაწილობრივ წარმოგვიდგება რა ბუნებისა და წინამორბედ თაობათაგან ნაჩუქარ ძალთა გამოყენების, შედეგის სახით (მისი წყაროა წარმოების ხარჯებზე ნამეტი, ანუ შექმნილი წმინდა პროდუქტის ნაწილი) არის კაპიტალის ავანსირება, სამეურნეო საქმიანობის ისეთი სფერო, ელემენტი, წარმოების ზრდისა და განვითარების წყარო, მატერიალური და არამატერიალური რესურსების, ფულადი და არაფულადი კაპიტალის აწმყოში დაბანდება როგორც მოგების (მიკროეკონომიკის დონეზე), ასევე საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების მიზნით (მაკროეკონომიკის დონეზე). სხვანაირად, მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან გამომდინარე, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციის არატრადიციული არსი უნდა მდგომარეობდეს არა მხოლოდ მის მომგებიანობაში, არამედ, ამასთან ერთად, მის სოციალურ ორიენტაციაში. გამომდინარე აქედან ინვესტიციები, როგორც სოციალურ–ეკონომიკური კატეგორია, გამოხატავს სოციალურ–ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ინვესტირების დროს მონაწილე მხარეთა შორის საინვესტიციო წყაროების (პოტენციური ინვესტიციების) ფორმირებისა და გამოყენების დროს, წარმოების სრულყოფის, განვითარების, ე.ი. გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფის გზით ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მიღებისათვის;

2. მოცემული ქვეყნისთვის წარმოების მიზნიდან გამომდინარე, ყველაზე მომგებიანი მაინც უნდა გახდეს ისეთი ინვესტირება, რომელიც განავითარებს ეკონომიკის რეალურ სექტორს, აამოქმედებს მოწინავე თანამედროვე ტექნოლოგიებს, აითვისებს მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდებს და, რაც ყველაზე მთავარია, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვან დადებით გავლენას მოახდენს მოცემული ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. გამომდინარე აქედან, ინვესტირება აუცილებლად უნდა იქნას განხილული შედეგის თვალსაზრისით და ამ კუთხით, ჩვენი აზრით, პერსპექტივაში მაინც პრიორიტეტულად შეიძლება მივიჩნიოთ საკუთარი (სამამულო) სოციალური ორიენტაციის მქონე ინვესტირების წახალისება, ვინაიდან რაოდენ დიდი შედეგის მომტანი არ უნდა იყოს უცხოელი ინვესტორის საქმიანობა, მისთვის მკაცრად რომ ვთქვათ, სულ ერთია ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაცია, ეროვნული ინტერესები, სოციალური სიკეთეების მწარმოებელი დარგების განვითარება, რეციპიენტი ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოება და სხვ. ინვესტიციების ამ გენეტიკური, სოციალური მახასიათებლიების გათვალისწინებით, და უწინარეს ყოვლისა, წარმოების უზენაესი მიზნიდან გამომდინარე, ეკონომიკურ ფორმებთან ერთად, ჩვენი აზრით, შეიძლება ვიმსჯელოთ ინვესტირების ახალ, სოციალურ ფორმებზე, სახეებზე, რომლებიც ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის კვალდაკვალ უფორ მეტ მნიშვნელობას შეიძენენ და მათი გათვალისწინება ერთ დროს, პერსპექტივაში მაინც, სავალდებულო გახდება ნებისმიერი ინვესტორისათვის, მეწარმისათვის, ბიზნესმენისათვის, საერთოდ საქმიანი ადამიანისთვის;

3. ინვესტიცია საერთო ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც დამახასიათებელია ყველა საზოგადოებრივი წყობისათვის (პირველყოფილ თემურ საზოგადოებაშიც კი, როცა ადამიანმა გადაწყვიტა ხელკეტად გამოეყენებინა ძვალი ნაცვლად იმისა, რომ დაემტვრია იგი და ძვლის ტვინი ეჭამა, შეიძლება პირველ ინვესტიციად ჩაითვალოს). ინვესტიციის სოციალური ფორმა კი სპეციფიკური კატეგორიაა. იგი დამახასიათებელია მხოლოდ სოციალურად ორიენტირებული, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისათვის. ამ ფორმის არსებობა წმინდა კაპიტალიზმისა და კაპიტალიზმამდელ პერიოდში არ არის. საზოგადოებაში, სადაც წარმოების უშუალო მიზანია მხოლოდ მოგების მიღება, არ დგას სოციალური მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობის საკითხი. ასეთ საზოგადოებაში ინვესტორის უმთავრესი მამოძრავებელი მოტივაციაა რაც შეძლება მეტი მოგების მიღება, თუნდაც მუშაკების ჯანმრთელობის, შრომის პირობების, ეკოლოგიური მდგომარეობის, ტექნიკური უსაფრთხოების გაუარესების ხარჯზე; ამას

[19] ა. აბრალავა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. თსუ გამომცემლობა, თბ. , 2001, გვ. 26-27.

ადასტურებს ის ფაქტი, რომ, მაგალითად, „ ... საქართველოში არც ერთ უცხოელ ინვესტორს ჯერჯერობით არ შემოუტანია უახლესი ტექნოლოგიები. ყველა აქამდე შემოტანილი ტექნოლოგია წარმოადგენს „გუშინდელი დღის" ტექნოლოგიებს. მოსალოდნელია „ჭუჭყიანი დარგების" კონცენტრაცია, ვინაიდან მსოფლიოში ცალსახად შეიმჩნევა განვითარებული ქვეყნიდან ჭუჭყიანი წარმოების განვითარებად ქვეყნებში გადატანის ტენდენცია, რადგან იქ ნაკლებად მკაცრია ეკოლოგიური ბარიერები (ამ ტენდენციამაც უკვე იჩინა თავი საქართველოში)"[20]. ხშირია შემთხვევებიც, როდესაც უცხოელი ინვესტორები ცდილობენ შემოზიდონ ჩვენს ქვეყანაში ისეთი ტექნიკა და ტექნოლოგია, პროდუქცია, რომელიც სხვა ქვეყნებში აკრძალულია და მორალურად მსოფლიო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს".[21] ამიტომ გამოსავალი მხოლოდ ინვესტორების და ინვესტიციების მიმღებს შორის ინტერესთა თანხვედრაში უნდა ვეძებოთ, რომლის გარეშეც ინვესტიცია ვერ გახდება დადებითი, პროგრესული მოვლენა და ქვეყნის განვითარების, ეკონომიკის მოდერნიზაციის წყარო.

4. ინვესტიციის სოციალურ ფორმაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით მის ქვესახეებს,[22] მაგალითად, ეთიკურ, ეთიკურად ორადი (პოზიტიური და ნეგატიური) ხასიათის ინვესტიციებს. კერძოდ, **ეთიკურია** ინვესტიცია, რომელიც ზიანს არ აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და არ ეწინააღმდეგება საზოგადოების (ადამიანთა) ყოფისა და ქცევის ეთიკურ ნორმებსა და წესებს (მაგ. ინვესტიციები წარმოების რეალურ სექტორში). ხოლო **არაეთიკურია** ინვესტიცია, რომელიც აზიანებს, საფრთხეს უქმნის ბუნებას და სხვა. **ეთიკურად ორადი–ბილატერალური** ხასიათისაა ინვესტიცია, დაბანდებული ისეთ ბიზნესში, რომელიც ერთდროულად შეიძლება ან არ შეიძლება მავნებელი იყოს ადამიანისათვის. ასეთია, მაგ. ინვესტიციები სამხედრო საქმეში, ბიზნესში (ქიმიური იარაღის წარმოებაში), რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სახელმწიფო თავდაცვის მიზნით (პოზიტიური მხარე) ან, პირიქით, მაგ., სხვაზე თავდასხმისთვის, ტერორისტული აქტისათვის (ნეგატიური მხარე), რაც მიზნად ისახავს ადამიანის ლიკვიდაციას. ასეთივეა ინვესტიციები ბირთვული იარაღის წარმოებაში, რომელსაც აქვს ორადი საპირისპირო ფუნქცია — თავდაცვითი და თავდასხმითი. მსგავსი ფუნქციაა დამახასიათებელი ინვესტიციებისათვის სპეციფიკური ზემოქმედების წამლების (მათ შორის გენერიკების) წარმოებაში. მაგალითად, გამაბრუებელი საშუალებები გამოიყენება ქირურგიული ოპერაციების დროს ტკივილის გასაყუჩებლად, თუმცა ადამიანმა ისინი დიდი დოზით მიღებისას შეიძლება იხმაროს ნარკოტიკულ საშუალებად.

ინვესტიციის სოციალური ფორმის, მისი სახეების დახასიათებისას ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ **ე. წ. მუქი მწვანე** და **ღია მწვანე** ინვესტიციების შესახებ, რომლის მთავარი დანიშნულებაა გათვალისწინებულ იქნას ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური ინვესტიციის, მისი სახეების გათვალისწინებით, განსაკუთრებით სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მიზნიდან გამომდინარე, ბიზნესში მონაწილე ყველა (როგორც უცხოური, ისე ეროვნული) მხარის, მათ შორის სახელმწიფო ინვესტიციების დახმარებითაც სტიმული უნდა მიეცეს და მაინც უნდა დაინერგოს ისეთი ტექნიკა და ტექნოლოგია (თუნდაც ნაკლებ მწარმოებლური ან უფრო ძვირი) ძველთან შედარებით, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საჭირო შესაბამისი ხარისხის ნაწარმის დამზადებას, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ავადმყოფობებისაგან (სიმსივნე, შიდსი, დიაბეტი და ა.შ.) განკურნებას. იმედია, ინვესტიციების ამ კუთხით წარმართვა ინვესტორს მომავალშიც კიდევ უფრო მეტ კეთილსაიმედო სოციალურ გარემოცვას, მყარ რეპუტაციას და იმიჯს შეუქმნის.

5. საინვესტიციო გარემოს, ასევე ინვესტიციური აქტიურობის ფორმებზე მსჯელობისას უნდა ამოვიდეთ მოცემული ქვეყნის წარმოების სოციალურ–ეკონომიკური მიზნიდან ინვესტირების პროცესში მონაწილე მხარეების ინტერესების გათვალისწინებით. გამომდინარე აქედან, რეციპიენტი ქვეყნის საინვესტიციო გარემო მაშინ იქნება ხელსაყრელი, თუკი იგი მოიზიდავს ისეთ ინვესტორს, რომელიც ძირითადად განავითარებს სოციალური სიკეთეების მწარმოებელ დარგებს, გადაჭრის ქვეყანაში არსებულ სოციალურ–ეკონომიკურ პრობლემებს, გააქტიურებს ეროვნულ ინვესტორებს და დადებით გავლენას მოახდენს რეციპიენტი ქვეყნის ცხოვრების დონეზე ისე, რომ დაცული იყოს

[20] ე. ბარათაშვილი, დ. მაგრაქველიძე. საქართველოს საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბ., 2009. გვ. 67.

[21] რ.შენგელია. პრივატიზაცია და ძირითადი კაპიტალის განახლების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. ჟურნ. „ეკონომიკა", № 10-12, 1998., გვ. 72.

[22] იხ: ნ.შენგელია, რ.შენგელია. სოციალური ინვესტიციების შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა", № 3-4, 2011 წ, 24-28.

ინვესტირების პროცესში მონაწილე ყველა მხარის ინტერესთა ბალანსი, ეროვნული ინვესტორებისადმი ჩრდილის მიუყენებლად;

6. საქართველოში მთავარი აქცენტი უნდა კეთდებოდეს და კიდევ უფრო პრიორიტეტული უნდა გახდეს მომავალში არა იმდენად ინვესტიციების მასტიმულირებელი რომელიმე ცალკეული ფორმა, არამედ ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბება, რომელიც გადამწყვეტია როგორც საკუთარი, ისე უცხოური ინვესტიციური აქტიურობისათვის;

7. გარდამავალი ეკონომიკის თითქმის უმრავლესობაში ინვესტიციები ძირითადად მიემართება ინოვაციური საქმიანობის დასაფინანსებლად. ეს ტენდენცია არც საქართველოში უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე. მიმართულება, ვექტორი სწორად არ იქნება შერჩეული, თუ ახალი წარმოებების, ინოვაციური, ცოდნაზე დაფუძნებული დარგების ჩამოყალიბებაში მხოლოდ უცხოური ინვესტიციების იმედზე ვიქნებით. ისევე როგორც ნებისმიერი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნისთვის, ასევე საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების გამოყენება. სასარგებლოა ამა თუ იმ ქვეყნის საინვესტიციო გამოცდილების ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით გაზიარება როგორც განვითარების ფაქტორის - ბუნებრივი, საწარმოო და შრომითი პოტენციალის მობილიზებაში, მაგრამ მისი მთავარი აქცენტი იმპორტშემცვლელი წარმოების ზრდასა და საექსპორტო კონკურენტუნარიანი ინოვაციური, კრეატიულ ცოდნაზე დაფუძნებული კრეატიული პროდუქციის წარმოებაზე უნდა გაკეთდეს. უცხოური ინვესტიციის გამოყენება განსაკუთრებით უნდა წარიმართოს ეროვნული ეკონომიკის იმ სფეროებში, რომელთა გააქტიურებას შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს აღნიშნულ სფეროებში ტრანსფორმაციული კრიზისის დაძლევაში, არსებული სოციალური დაძაბულობის შემცირებაში და დასაქმების ზრდაში. ასეთ დარგებად, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივიჩნიოთ ფართო მოხმარების საგნების და ფარმაცევტული საქონლის წარმოება, რომლის უხვი საკუთარი ნედლეული საქართველოს გააჩნია. ასევე მეტი უცხოური ინვესტიციები უნდა იქნას მოზიდული სოფლის მეურნეობის (განსაკუთრებით გადამამუშავებელი) დარგების გამოსაცოცხლებლად. ამ მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს სოფლის მეურნეობაში ერთ მილიარდიანი ფონდის შექმნა. უცხოური ინვესტიციების დახმარებით რეკომენდაციას და ტექნოლოგიურ გაუმჯობესებას საჭიროებენ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები. საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე კონკრეტული ამოცანაა-შეიცვალოს წარმოებითი ურთიერთობები, რაც უპირველესად სოფლის მეურნეობის თანამედროვე ცივილიზებულ დარგად გადაქცევას გულისხმობს. ამ უკანასკნელის გარეშე ვერც ტურიზმი განვითარდება სასურველი პარამეტრებით. აღნიშნული ამოცანების პრაქტიკული რეალიზაცია გამოათავისუფლებს სავალუტო რესურსებს, ხელს შეუწყობს იმპორტშემცვლელი წარმოების განვითარებას და, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებას, რომლის გარეშეც ინვესტიცია მხოლოდ თვითმიზანი იქნება და არა საზოგადოების განვითარების, ეკონომიკური ზრდის წყარო;

8. უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა საქართველოში დიდად არის დამოკიდებული როგორც ინვესტიციების, ისე ინვესტორების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ქვეყნის სასტარტო მდგომარეობის რიგი უპირატესობის დროულად ამოქმედებაზე. უცხოელი ინვესტორების, რეციპიენტისა და საზოგადოების ინტერესთა დაცულობაზე, თანხვედრაზე; ადგილობრივი წარმოების განვითარების მიმართულებით დიდი რეზერვებია, მაგალითად, ფარმაცევტული ბიზნესის სფეროში. საქართველოში ფარმაციის დარგში არსებობს იმდენი ადგილობრივი რესურსები, საკუთარი მდიდარი სანედლეულო ბაზა, რომ მოხდეს უპირველესად სამამულო ფარმაცევტული ბიზნესის აღორძინება, რასაკვირველია, როგორც ინვესტორების, ისე სახელმწიფოს აქტიური დახმარებით.

9. უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებას, ეფექტიანობის ამაღლებას, ეკონომიკურ ზრდას, განსაკუთრებით ტრანსფორმირებადი ღია ეკონომიკის პირობებში, რაც ნელ-ნელა თავის დადებით ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე, რომელთა ამაღლების გარეშე არათუ უცხოური, არამედ, საერთოდ ინვესტიციის დადებითი ზეგავლენის, შედეგების შესახებ მსჯელობაც კი შეუძლებელია. უცხოური ინვესტიციები უაღრესად დადებით ზეგავლენას ახდენენ რეციპიენტი, ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. მართალია, ინვესტირებისას უარყოფით შედეგებსაც კი ექნება ადგილი, მაგრამ მთავარია იგი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის ინსტრუმენტების სისტემის დახმარებით შევამციროთ და მაქსიმალურად გავზარდოთ პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე.

10. წარმოების სოციალური მიზნიდან გამომდინარე სხვადასხვა ინვესტორებს სხვადასხვანაირი, დიფერენციული მიდგომა, ასევე სხვადასხვანაირი საინვესტიციო გარემოს შექმნა სჭირდება თითოეული ინვესტიციის მიზნისა და ფორმების, ასევე ბიზნესის ამა თუ იმ სტადიის გათვალისწინებით. წინადმდეგ შემთხვევაში ინვესტიციის მიმღები ქვეყანა ვერ მიიღებს სასურველ შედეგს. მაგალითად, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპა მიმზიდველია ეფექტიანობაზე ორიენტირებული უცხოური ინვესტიციებისათვის იმიტომ ,რომ განვითარებულია მაღალი დამატებითი ღირებულების შემქმნელი წარმოებები (მაგ. ელექტრონიკა, მანქანათმშენებლობა), მაშინ, როდესაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა და თურქეთი სამიზნეა ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უცხოური ინვესტიციებისათვის. მაგალითად, შედეგი შეიძლება ურყოფითიც იყოს,თუკი საქმე გვექნება ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებულ ინვესტიციებთან, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ინვესტორი შეეცდება განავითაროს შიდა ბაზარი და არ ჩაერთოს საექსპორტო საქმიანობაში, რასაც შეიძლება რეციპიენტი ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის გაუარესება მოჰყვეს. საქართველოში, სადაც ჯერ კიდე ადგილობრივი მახასიათებლები (მაგ. მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მოცულობა, მაღალკვალიფიციური ადამიანური რესირსები, ტნკ-სა და ადგილობრივ ეკონომიკას შორის კავშირი და ა.შ.) დაბალია, შეიძლება ითქვას, რომ შემოსული უცხოური ინვესტიციების ნაკადები ნაკლებად მდგრადია. იმისათვის, რომ საქართველომ მოიზიდოს ეფექტიანობაზე ორიენტირებული უუცხოური ინვესტიციები, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის დივერსიფიკაციას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, საჭიროა მაღალკვალიფიციური ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბება, ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესება და ქართული ბაზრის მიმზიდველობის ზრდა.

ამრიგად, თანამედროვე, სოციალურად ორიენტირებული ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციის ახლებური, არატრადიციული ხედვა, მისი არსის სრულად წარმოდგენა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტშია შესაძლებელი, რამდენადაც იგი მომავალში უფრო მეტი სოციალური შინაარსითა და ფუნქციით დაიტვირთება, საზოგადოების განვითარების არსებული დონიდან უფრო მაღალ დონეზე გადასვლის პირობა გახდება.

## О НЕТРАДИЦИОННОМ ПОНИМАНИИ ИНВЕСТИЦИИ

***РЕВАЗ ШЕНГЕЛИЯ***
***профессор ГТУ, главный редактор***
***журнала “Экономика”***

В статье инвестиция рассматривается не традиционно (только в технико-экономическом), а в социально-экономическом аспекте,генетически,с учетом возникновения,генезиса,истории ,не как процесс, а с точки зрения результата. Инвестиция вообще представлено как общая экономическая категория, а социальная форма инвестиции как специфическая экономическая категория социально-ориентированной рыночной экономики. Делается вывод о том, что в будущем социальная инвестиция преобретет ещё больше содержание и функции, поскольку станет основным условием для перехода общественного развития от существующего уровня на более высоком уровне.